შრომის ბაზრის თავისებურებები სასტუმრო ბიზნესში

THE PARTICULARITIES OF THE LABOR MARKET IN THE HOTEL BUSINESS

ნანა ახალაია,
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
პროფესორი. საქართველო, გორი
მანანა ვასაძე,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
პროფესორი. საქართველო, თბილისი

NANA AKHALAIA,
Gori State, Training University professor.
Goergia, Gori
MANANA VASADZE,
Georgian Technical University professor
Georgia, Tbilisi

ანოტაცია

უმუშევრობა დღეისათვის ქართული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა სოციალურ ჯგუფს მეტ ნაკლებად თანაბარი სიმწვავით ეხება, ჩვენი პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაა. ბოლო წლების განმავლობაში, სასტუმროს ბაზარი ტურისტულ ქალაქებში ჯანსაღ და სწრაფ ზრდას განიცდის. უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ვითარდება ტურისტული ქალაქები და მთლიანად სასტუმროების ბაზარი. სასტუმრო ბიზნესი ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვედარგს წარმოადგენს, რომელსაც მილიონობით მოგება მოაქვს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში. სასტუმრო ბიზნესის განვითარება ტურიზმის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. ტურისტული ნაკადების ზრდის შემთხვევაში სასტუმრო კომპლექსების ეფექტური ფუნქციონირება ქმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს რეგიონისა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროა, სადაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი ადამიანი საქმდება.

საკვანძო სიტყვები: *შრომის ბაზარი, უმუშევრობა, სასტუმრო ბიზნესი, სასტუმრო ბაზარი, განთავსების სტატისტიკა.*

ABSTRACT

Unemployment is one of the major problems of Georgian society, which is more or less equal to all social groups. One of the main priorities is to address the problem of unemployment in the country. In recent years, the hotel market has a healthy and rapid growth in tourist destinations. Tourist sites and the whole tourist market are developing attracting foreign investments. Hotel business is the most dynamically developing subdivision of the tourism industry that brings millions of profits to the economy in many countries. Hotel business development is a crucial factor in tourism development. Growth of tourist flows and efficient functioning of hotel facilities create jobs and provide filling up regional and national budgets. The leading role in Georgian economy belongs to trade and service sectors where the most people are employed.

keywords*: Labor market, unemployment, hotel business, hotel market, statistics.*

საქართველოს შრომის ბაზარზე მიმდინარე მოვლენები და არსებული ტენდენციები როგორც დასაქმებულთათვის, ისე დამსაქმებლებისთვისაც აქტუალური და საინტერესოა.

გამომდინარე იქიდან, რომ უმუშევრობა დღეისათვის ქართული საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ყველა სოციალურ ჯგუფს მეტ ნაკლებად თანაბარი სიმწვავით ეხება, მთავარი პრიორიტეტი ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემის მოგვარებაა. ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მთავარი მექნიზმი რა თქმა უნდა გადის ეკონომიკის განვითარებაზე, თუმცა ასევე განსაკუთრებული

მნიშვნელობა ენიჭება შრომის ბაზრის ეფექტურ ფუნქციონირებას. მოცემული რეალობის სრული და ხარისხიანი ანალიზი, ისევე როგორც შრომის ბაზრის კონიუქტურის ცოდნა, საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები იმისათვის, რომ ეკონომიკურმა ზრდამ სრულად და ეფექტურად უპასუხოს საზოგადოების მოთხოვნილებებს.

2016 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2015 წელთან შედარებით 0.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 11.8 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ 2016 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო 13 წლის მანძილზე ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

ბოლო წლების განმავლობაში, სასტუმროს ბაზარი ტურისტულ ქალაქებში ჯანსაღ და სწრაფ ზრდას განიცდის. ინფრასტრუქტურა ბევრ ქალაქში განახლდა და სტუმრების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვით ვითარდება ტურისტული ქალაქები და მთლიანად სასტუმროს ბაზარი. საქართველოში სასტუმრო ბაზრის განვითარებას ხელს უწყობს ტურისტების სისტემატიურად მზარდი რაოდენობა. თუ გავითვალისწინებთ წლიდან წლამდე მაჩვენებლებს, ვიზიტორების რიცხვი 2016 წლის პირველ ნახევარში დაახლოებით 13%-ით მეტია, ვიდრე 2015 წლის იგივე მაჩვენებელი. ზრდას ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ახალი და საერთაშორისო ბრენდების სასტუმროები და ხელისუფლების სურვილი, მოახდინოს ინვესტირება ფართო სპექტრის სპორტულ და კულტურული ღონისძიებებისა და საერთაშორისო კონფერენციების მასპინძლობაში.

2016 წლის პირველ ნახევარში, საქართველოში 2.6 მილიონი უცხოელი ვიზიტორი ჩამოვიდა, 13%-ით უფრო მეტი, ვიდრე 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში. 24 საათზე მეტი დროით შემოსული ვიზიტორების რიცხვი ასევე გაიზარდა 18%-ით. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ანგარიშის მიხედვით 1,225 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება ოპერირებს საქართველოში. სასტუმროს ნომრების საერთო რაოდენობა 23,100 ერთეულს შეადგენს, ხოლო საწოლების 48,600-ს. 2015 წელს 172 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულებამ დაიწყო ფუნქციონირება. ყველაზე მაღალი პროცენტული წილი დასვენებისა და რეკრეაციის მიზნებისათვის ჩამოსულ ვიზიტორებს ეკავა (64%), 22% შეადგენს საქმიანი ვიზიტით ჩასული მოგზაურები, ხოლო სხვა მიზნებზე მოდის მხოლოდ 14% . თბილისი არის სასტუმროებისთვის ყველაზე მომგებიანი ადგილმდებარეობა და ეს აღიარებულ იქნა დეველოპერებისა და ოპერატორების ფართო სპექტრის მიერ. 20-ზე მეტი ახალი სასტუმროს მშენებლობის დასრულებაა დაგეგმილი 2016-2018 წლებში, რომელთაგან რამდენიმე საერთაშორისო ბრენდისაა. თუ ყველა სქემა განხორციელდა, მიმდინარე მშენებლობების 50 პროცენტზე მეტი 5-ვარსკვლავიან კატეგორიაში მოხვდება, რითაც ბაზარს 2,000-ზე მეტი მაღალხარისხიანი სასტუმრო ნომერი შეემატება. ბათუმი არის პოპულარული კურორტი დასვენებისა და სარეკრეაციო მიზნებით ჩამოსული ვიზიტორებისათვის, მათ მთლიანი სასტუმროს ვიზიტორების 84% უკავიათ. ინვესტიციებით ხდება კურორტის რეპოზიციონირება უფრო მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო სტუმრის მოზიდვის მიმართულებით, რისი კარგი მაგალითიცაა 8,700 ადგილიანი საკონცერტო დარბაზის „ბლექ სი არენას“ მშენებლობა, ამჟამად ბათუმში დაგეგმილია 14 სასტუმროს მშენებლობა, რაც 2019 წლის ბოლომდე მიწოდებას გაზრდის 1,500-მდე საერთაშორისო მაღალი და საშუალო კლასის ნომრით. საერთაშორისო ბრენდების 45%-იანი დატვირთულობის კოეფიციენტის ფონზე, მიწოდების ამგვარი ზრდა შეიძლება გამოწვევა აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი პროექტების ნაწილი გადავადდება მოთხოვნის ზრდის შესაბამისად. ქუთაისში, სადაც მდებარეობს საქართველოს პარლამენტი, ბიზნეს ვიზიტორების წილი მთლიან ვიზიტორებთან შეფარდებით გაცილებით მაღალია (33%). სასტუმროების ვიზიტორთა რიცხვიც საკმაოდ გაზრდილია. სასტუმროების ბაზარზე ადგილობრივი ოპერატორები დომინირებენ, 45 ნომრიანი ბესტ ვესტერნი კი პირველი ბრენდირებული სასტუმროა, რომელიც 2016 წელს გაიხსნა. დატვირთულობის კოეფიციენტი კვლავაც დაბალია და დაახლოებით 50%-ს შეადგენს. ქუთაისში დაგეგმილი სასტუმროების მშენებლობების რიცხი ძალიან მცირეა, ამიტომ ტურიზმის მოსალოდნელმა უწყვეტმა ზრდამ და ახალი ფრენების დამატებამ დატვირთულობის კოეფიციენტი გარკვეულწილად უნდა გააუმჯობესოს. საქართველოს ძირითადი საზაფხულო კურორტები შავი ზღვის სანაპიროზეა განლაგებულია. ბაზარზე

დომინირებს ადგილობრივ დაბალბიუჯეტიანი სასტუმროები (82%), თუ არ ჩავთლით შეკვეთილში დაგეგმილ 250-ნომრიან სასტუმროს, „მარიოტ აუტოგრაფ ქოლექშენს“. გამომდინარე იქიდან, რომ ეს უფრო სეზონური ბაზარია და მიწოდების გაზრდისას სიფრთხილეა საჭირო. საქართველოში ზამთრის სპორტის პოპულარობა იზრდება. ახალ სათხილამურო ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, არსებული სასტუმროების გაფართოებასთან და ბაზარზე ახალი მონაწილეების შემოსვლასთან ერთად, მნიშვნელოვნად ზრდის ზამთრის კურორტების მიმზიდველობას. სამი ძირითადი კურორტის, გუდაურის, ბაკურიანისა და მესტიის გარდა, გაიხსნა ორი ახალი კურორტი - გოდერძი და თეთნულდი. ბაზარზე დომინირებენ ადგილობრივი ოპერატორები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ „რადისონ ბლუმ“ და „ბესტ ვესტერნ პლუსმა“ დააანონსეს გუდაურში სასტუმროს მშენებლობის გეგმები, გარდა ამისა, „ბესტ ვესტერნ პლუსი“ 2017 წელს ბაკურიანშიც გეგმავს სასტუმროს გახსნას. დატვირთულობის კოეფიციენტის გაზრდის ერთ-ერთი საშუალებაა ამ კურორტებზე საზაფხულო აქტივობების წახალისება, ლაშქრობა, მთის ველოსიპედი, ჯომარდობა და გამაჯანსაღებელი ცენტრების განვითარება. საქართველოში მრავლადაა ტურისტული ქალაქები, რომლებიც ვიზიტორებს თვალწარმტაცი ბუნებით, კულტურული ღონისძიებებითა და ძეგლებით და გამაჯანსაღებელი დაწესებულებებით იზიდავს. ამ ქალაქებში მოთხოვნა აქტიურად იზრდება და ბაზარიც შესაბამისად რეაგირებს, 2016-2018 დაგეგმილია მიწოდების გაზრდა 450 ნომრით. დაგეგმილ სასტუმროებს შორისაა „რიქსოსი“ და „ქროუნი პლაზა“ ბორჯომში და „რადისონი“ წინანდალში. განთავსების საშუალებათა სტატისტიკა საქართველოში დღეისათვის ასე გამოიყურება:

2017 წლის აპრილის მდგომარეობით საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ბაზაში დარეგისტრირებული განთავსების საშუალებების რაოდენობამ 1,872 შეადგინა, ხოლო საწოლი ადგილების რაოდენობამ 62,909. საწოლი ადგილების რაოდენობის მიხედვით ბაზარზე სასტუმროს ტიპის განთავსების საშუალებები ჭარბობენ, მათი წილი 63.9%-ს შეადგენს. 2017 წლის იანვარ-მარტში საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობამ 1,266,125 შეადგინა, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან 11.4%-ია. მთლიანი რაოდენობიდან 24 საათი და მეტი დროით (ტურისტი)1 513,643 (+25.7%) ვიზიტი განხორციელდა, ხოლო ტრანზიტის მიზნით 222,642, დანარჩენი ერთდღიანი ვიზიტების რაოდენობამ 529,840 შეადგინა. საერთაშორისო მოგზაურებს შორის კვლავ მეზობელი ქვეყნები ლიდერობენ, მათზე მთლიანი შემოსვლების 83% მოდის. ევროკავშირიდან მოგზაურების რაოდენობა 3%-ს შეადგენს. იანვარ-მარტში საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა აზერბაიჯანიდან დაფიქსირდა 368,068 (+4.2%), რაც მთლიანი საერთაშორისო მოგზაურების 29.1%-ს შეადგენს. შემდეგი არის სომხეთი 264,067 (+15.2%) და თურქეთი 236,156 (14%) მოგზაურით. რუსეთი სტაბილურად ინარჩუნებს მეოთხე ადგილს 185,624 (+28.1%). არამეზობელი ქვეყნებიდან კი ირანი ლიდერობს 55,568 (+236.8%). აღსანიშნავია, რომ 2016-2017 წლის იანვარ-მარტის მონაცემებით ტოპ 10 ქვეყანაში ცვლილება ძირითადად ქვეყნების პოზიციების გადანაცვლებით არის განპირობებული. საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო საზღვრებზე დაფიქსირდა 1,019,521 (+4.9%), შემდეგ მოდის საჰაერო 229,934 (+58.2%) და სარკინიგზო საზღვრები 9,218 (+10.8%). ყველაზე ნაკლები რაოდენობა საზღვაო გზით შემოვიდა 7,452 (30.6%). საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა სახმელეთო გზით აზერბაიჯანიდან შემოვიდა და 354,473 (34.8%) შეადგინა, შემდეგ მოდის სომხეთი 258,281 (25.3%) და თურქეთი 223,912 (22%). საჰაერო გზით საერთაშორისო შემოსვლების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთმა აჩვენა 55,406 (24.1%), შემდეგ მოდის ირანი 32,992 (14.3%) და უკრაინა 21,398 (9.3%). სარკინიგზო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობით გამოირჩეოდნენ აზერბაიჯანი 5,300 (57.5%), სომხეთი 1,619 (17.6%) და რუსეთი 817 (8.9%). საზღვაო გზით შემოსული საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა კი უკრაინიდან აღინიშნა და 2,247 (30.2%) შეადგინა, შემდეგ მოდის თურქეთი 1,483 (19.9%) და რუსეთი 864 (11.6%). საერთაშორისო მოგზაურების ყველაზე დიდი რაოდენობა წითელი ხიდიდან ფიქსირდება 290,516 (+0.6%), შემდეგია სარფი 224,936 (14.6%) და სადახლო 205,835 (+14.2%).

2017 წლის მარტში ევროკავშირის ქვეყნებიდან 15,860 საერთაშორისო მოგზაური დაფიქსირდა.

ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9.5%-ს შეადგენს. ევროკავშირის წილი მთლიან შემოსვლებში 3.1%-ია. ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საჰაერო გზით შემოდის. საჰაერო საზღვარზე ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების 82% მოდის. ყველაზე მცირე რაოდენობა კი საზღვაო (3.2%) და სარკინიგზო ტრანსპორტით შემოდის (0.8%). ევროკავშირიდან შემოსული მოგზაურების უმრავლესობა საქართველოში თბილისის აეროპორტით შემოვიდა (58.1%), შემდეგ მოდის ქუთაისის აეროპორტი (22.6%), სარფის (5.7%) და სადახლოს (4.8%) სასაზღვრო პუნქტი.

2025 წლისთვის საქართველო ცნობილი იქნება, როგორც მოწინავე, ყველა სეზონის, მაღალი ხარისხის ტურისტული ქვეყანა, გამორჩეული თავისი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, მსოფლიო დონის მომსახურებითა და სტუმარმასპინძლობის უძველესი ტრადიციით. ინფრასტრუქტურაში განხორციელებული სტრატეგიული ინვესტიციების, განათლების უზრუნველყოფის, მარკეტინგისა და მსოფლიოს მასშტაბით მაღალგადახდისუნარიანი ტურისტებისათვის უნიკალური ქართული შთაბეჭდილებების შეთავაზების გზით, საქართველო ტურიზმის დარგში არსებული კონკურენციის მოწინავე რიგებში წარმოჩინდება. ვიზიტორების მიერ დახარჯული თანხის გაზრდის შედეგად ტურიზმის წვლილი საქართველოს ეკონომიკის ზრდასა და განვითარებაში მნიშვნელოვნად მოიმატებს. მეტი ყურადღება დაეთმობა ვიზიტორთა ხარისხსა და მრავალფეროვნებას, ვიდრე ვიზიტორთა რაოდენობას.

სასტუმროებში და რესტორნებში დასაქმებულთა რაოდენობა



*** წინასწარი მონაცემები**

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	I 2016	II 2016	III 2016	IV 2016
ბრუნვა, მლნ.ლარი	192.8	224.6	280.0	383.9	573.8	730.0	787.4	843.6	1069.8	236.8	286.7	385.6	341.2
გამოშვებული პროდუქცია, მლნ. ლარი	193.5	225.7	271.5	365.6	574.0	718.7	779.6	832.8	1057.1	245.3	288.1	387.2	340.1
დამატებული ღირებულება, მლნ.ლარი	84.1	93.7	114.3	149.9	200.9	281.2	296.4	327.3	416.7	...	...	...	...
შუალედური მოხმარება, მლნ.ლარი	109.4	132.0	157.2	215.7	373.1	437.5	483.2	505.5	640.4	...	...	...	...
ფიქსირებული აქტივები, მლნ.ლარი	186.0	379.0	591.3	646.8	680.1	749.4	656.6	730.8	1017.1	...	...	...	...
დასაქმებულთა რაოდენობა, კაცი	11554	11184	13540	16106	24003	27821	30285	31330	33925	30344	31446	33285	34010
დასაქმებულთა საშუალო თვიური შრომის ანაზღაურება, ლარი	238.5	333.7	364.9	377.9	342.5	397.3	437.1	477.8	563.9	655.4	694.8	761.5	900.6

სასტუმრო ბიზნესი ტურიზმის ინდუსტრიის ყველაზე დინამიურად განვითარებად ქვედარგს წარმოადგენს, რომელსაც მილიონობით მოგება მოაქვს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში. სასტუმრო ბიზნესის განვითარება ტურიზმის განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია. ტურისტული ნაკადების ზრდის შემთხვევაში სასტუმრო კომპლექსების ეფექტური ფუნქციონირება ქმნის სამუშაო ადგილებს და უზრუნველყოფს რეგიონისა და ქვეყნის ბიუჯეტის შევსებას. საქართველოს ეკონომიკაში წამყვანი ვაჭრობისა და მომსახურების სფეროა, სადაც რაოდენობრივად ყველაზე მეტი ადამიანი საქმდება.

ალბათ არ არსებობს მთავრობა, რომელიც აქტიურად არ ცდილობდეს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და უმუშევრობის შემცირებას. თითქმის ყველა იმ ევროპულმა სახელმწიფომ, რომლებიც მიუახლოვდნენ სრული დასაქმების ნიშნულს, განსხვავებული სახელმწიფო პროგრამები განახორციელა.

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობის მიმართულება 2016 წლიდან დაემატა სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. პროგრამა რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის შესაძლებელს ხდის განავითარონ სასტუმრო ბიზნესი, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები, მოიზიდონ მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყონ რეგიონის განვითარებას. ახალი კომპონენტი, რეგიონში სასტუმრო ბიზნესის განხორციელების სურვილის მქონე მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას. გარდა ამისა, პროგრამის მეშვეობით აქტიურად ხდება საქართველოში წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვის სტიმულირება, ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულების თანადაფინანსების გზით.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამის “აწარმოე საქართველოში“ სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების პროექტის მიხედვით, სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით დაინტერესებულ მეწარმეს ეძლევა შესაძლებლობა საქართველოს ნებისმიერ რეგიონში თბილისისა და ბათუმის გარდა:

- ააშენოს ახალი სასტუმრო;
- მოახდინოს არსებული ინფრასტრუქტურის გაფართოება/გადაიარაღება;
- ასევე გააფორმოს ფრენჩაიზინგის ხელშეკრულება სასტუმროს საერთაშორისო ოპერატორთან და შემოიყვანოს უცხოური ბრენდი ქართულ ბაზარზე;

ბიზნესის კეთებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა დასაქმების დონის ასამაღლებლად.

ლიტერატურა/REFERENCES

[1]. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;

[2]. სასტუმროების ბაზრის კვლევა 2015;

[3]. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

[4]. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში 2011;

[5]. **თ.ქობლიანიძე, ლ.კოჭლამაზაშვილი** „სტრატეგიული მენეჯმენტის თეორიული ასპექტები სასტუმრო ბიზნესში“;

[6]. The Economist. Long Term Unemployment. Retrieved http://www.economist.com/node/21529096 Retrieved on 05/10/11